

თბილისსა და რეგიონებში გამოფენების ხელშეწყობა

კონკურსის პირობები:

1. კონკურსის მიზანი

ქვეყანაში კულტურული ცხოვრების გააქტიურება საქართველოს ვიზუალური ხელოვნების ფართო სპექტრის (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი, ფოტოხელოვნება, მულტიმედია და თანამედროვე ხელოვნების სხვა მიმართულებები) წარმოჩენით, თბილისსა და რეგიონებში ჯგუფური, თუ პერსონალური გამოფენების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ღონისძიებიდან „სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ ხელი შეეწყობა პროექტებს თბილისსა და რეგიონებში გამოფენების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების მოსაწყობად;

2. კონკურსის პირობები

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირს;
- კონკურსში დაიშვება კონკურსანტის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი მხოლოდ 1 პროექტი;
- სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 7000 (შვიდი ათასი) ლარს;
- პრიორიტეტი მიენიჭება ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედების წარმომჩენ ინოვაციურ, თანადაფინანსების მქონე პროექტებს;
- კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს და რეკომენდაციებს შეიმუშავებს საკონკურსო კომისია.

3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები

- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ კონკურსისათვის შემუშავებული განაცხადის ფორმის შესაბამისად და მას უნდა ერთვოდეს წერილი მინისტრის სახელზე კონკურსის დასახელების მითითებით და საკითხის მოკლე აღწერით. პროექტი და თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს CD ვერსიის სახითაც, მასზე მითითებული უნდა იყოს იურიდიული პირის სახელწოდება.
- თანადაფინანსების მქონე პროექტს უნდა ერთვოდეს - თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- პროექტს უნდა ერთვოდეს - საგარანტიო წერილი იმ ორგანიზაციიდან, სადაც დაგეგმილია გამოფენა;
- კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორთან ხელშეკრულების გაფორმებისას დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება შესაბამის თანხაზე მხოლოდ საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში;

4. კონკურსის განრიგი

- საკონკურსო პროექტების მიღება იწყება 2017 წლის 21 თებერვალს;
- პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 15 მარტის 17:00 სთ.;
- საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების განხილვა შედგება 2017 წლის 22 მარტს;
- კონკურსის შედეგი გასაჯაროვდება 2017 წლის 31 მარტს;
- კონკურსში გამარჯვებული პროექტი უნდა განხორციელდეს 2017 წლის ბოლომდე;
- კონკურსზე შემოტანილი მასალა უკან არ ბრუნდება;
- პროექტი და ყველა თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

კონსულტაციები გაიმართება ყოველ ოთხშაბათს 14:00 საათიდან 17:30 საათამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში (ტელ: 299 90 37).